

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

როლანდი ბურდიაშვილი

ნაფარეულში მოყვანილი შარდონეს ახალი ტექნოლოგიური  
შესაძლებლობები

სასურსათო ტექნოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თელავი  
2019

სამუშაო შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის  
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და  
ქიმიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნინო ვეფხიშვილი  
მზია ღაღოლიშვილი

შემფასებლები (რეცენზენტები): ლელა წიკლაური  
დავით ჩიჩუა

დაცვა შედგება ----- წლის ----- ---საათზე  
სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე:  
კორპუსი ----- აუდიტორია -----

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200  
ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1  
ტელ: +995 250 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე: <http://tesau.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი -----

## სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა.** საქართველოში ვხვდებით როგორც აბორიგენული, ისე უცხოური წარმოშობის ჯიშების მრავალფეროვნებას, როგორცაა: შარდონე, კაბერნე, მერლო, მალბეკი, რისლინგი და სხვა. დღეს ქართველ ენოლოგთა ყურადღება განსაკუთრებული ორგანოლეპტიკური მონაცემებისა და სამკურნალო-კვებითი ღირებულებების მქონე ადგილობრივმა და უცხოურმა ჯიშებმა მიიპყრო. ღვინოების მაღალ სამკურნალო-პროფილაქტიკურ თვისებებსა და მათი ანტიოქსიდანტური პოტენციური განსაზღვრავს, რომელიც ღვინოში ფენოლური ნაერთების შემცველობაზეა დამოკიდებული შარდონე მსოფლიოში პოპულარული ფრანგული ყურძნის ჯიშია, რომელიც საქართველოში მე-19 საუკუნეში იქნა შემოტანილი. ვაზმა შესანიშნავად იხარა ქართულ მიწაზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული ტიპის ღვინის გარდა, სხვა კატეგორიის ღვინის საწარმოო მასშტაბით დამზადებას, როგორცაა: ცქრიალა, შუშხუნა, შემაგრებული, ქვევრის, არმატული, - კახეთის ტერიტორიაზე გაშენებული შარდონესაგან მეოცე საუკუნის ქართველი ენოლოგები რეკომენდაციას არ აძლევდნენ.

ამდენად, **აქტუალურ საკითხად** დგას საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებული შარდონესაგან, ევროპულის გარდა, სხვა, განსხვავებული ტიპის ღვინოების წარმოება და მათი, შეძლებისდაგვარად, გამდიდრება ფენოლური ნაერთებით.

**კვლევის მიზანს** წარმოადგენდა კახეთის რეგიონის ნაფარეულის მევენახეობის ზონაში კომპანია „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ კუთვნილ ტერიტორიაზე გაშენებული პოპულარული ფრანგული თეთრი ყურძნის ჯიშის შარდონეს ახალი ტექნოლოგიური შესაძლებლობის გამოვლენა: მისგან რამდენიმე სპეციალური ღვინის დამზადება, როგორცაა: 1. ცქრიალა ღვინო ბოთლური მეთოდით; 2. ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებებით გამდიდრებული შემაგრებული ღვინოები და 3. კახურიწესით დაყენებული ქვევრის ღვინო; ამასთან, ნაჩვენები ყოფილიყო შარდონეს ყურძნის წიპწის, როგორც მეორადი ნედლეულის, რაციონალურად გამოყენების გზები.

დასახული მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო შემდეგი **ამოცანების** შესრულება: 1. ნაფარეულში მოწეული შარდონესაგან კლასიკური ბოთლური მეთოდით ცქრიალა ღვინის დამზადება; დამზადებული ღვინის ძირითადი ქიმიური პარამეტრებისა და არმატული კომპონენტების განსაზღვრა და ორგანოლეპტიკური შეფასება; 2. შარდონეს ყურძნის სხვადასხვა ტექნიკურ სიმწიფეში გადამუშავებული ყურძნის წიპწის სპირტიანი ნაყენების დამზადება; მათში ჯამური ფენოლური ნაერთებისა და ზოგიერთი ანტიოქსიდანტური ნივთიერების შემცველობის განსაზღვრა; 3. შარდონესაგან კლასიკური და წიპწის

შემადგენელი კომპონენტებით გამდიდრებული შემაგრებული ღვინოების დამზადება; მათში ძირითადი ქიმიური კომპონენტების, ასევე, ფენოლური ნაერთების, ორგანული მჟავების, ანტიოქსიდანტური ნაერთების შემცველობის განსაზღვრა; ღვინოების ორგანოლექტიკური შეფასება; 4. შარდონესაგან კახური წესით ქვევრის ღვინის დამზადება; მისი ქიმიური მაჩვენებლების დადგენა და ორგანოლექტიკური შეფასება; 5. შარდონესაგან ფენოლური ნაერთებით გამდიდრებული ახალი შემაგრებული სასმელის დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება

**მეცნიერული სიახლე.** ნაშრომის ექსპერიმენტულ ნაწილს ახლავს რამდენიმე მეცნიერული სიახლე: ჩვენ მიერ პირველად იქნა დადგენილი კახეთში, ნაფარეულის მევენახეობის მიკროზონაში გაშენებული შარდონეს ჯიშის ყურძნისაგან ბოთლური მეთოდით ცქრიალა ღვინის დამზადების შესაძლებლობა; ჩვენ მიერ პირველად იქნა შესწავლილი იმავე წარმოშობის შარდონეს ყურძნის წიპწის შესაძლებლობა შემაგრებული ღვინოების წარმოებაში გამოსაყენებლად და შემაგრებული ღვინის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გასამდიდრებლად; ჩვენ მიერ პირველად იქნა დადგენილი ნაფარეულის გაშენებული შარდონესაგან როგორც კლასიკური, ისე მაღალხარისხიანი, ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებებით გამდიდრებული შემაგრებული ღვინოების დასამზადებლად გამოყენების შესაძლებლობა; შემუშავდა და დამტკიცდა კახეთში გავრცელებული შარდონესაგან ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი, ახალი შემაგრებული ღვინო „კავკასიონის“ დამზადების ტექნოლოგია;

**ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ: მასში მოცემულია ის ტექნოლოგიური სქემები, რომლებითაც შესაძლებელია საქართველოში ინტროდუცირებული და ნაფარეულში გავრცელებული ფრანგული შარდონეს ჯიშის ყურძნისგან წარმოებაში დამზადდეს უმაღლესი ხარისხის ცქრიალა ღვინო ბოთლური მეთოდით და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი შემაგრებული ღვინო „კავკასიონი“;

ნაშრომი იძლევა ერთგვარ რეკომენდაციას, შარდონეს ყურძნის გადამუშავების ნარჩენი ჭაჭისაგან გამოცალკევებული წიპწის რენტაბელურად გამოყენებისათვის;

**აპრობაცია.** სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგები ყოველწლიურად

(2015–2016-2017 წ.წ.) წარედგინებოდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს განსახილველად და შესაფასებლად.

**პუბლიკაცია.** დისერტანტს გამოქვეყნებული აქვს 4 სამეცნიერო შრომა, მათ შორის, სადისერტაციო სამუშაოს ირგვლივ - 3 სამეცნიერო ნაშრომი. ორი მათგანი საერთაშორისო კონფერენციაზეა გაგზავნილი.

**დისერტაციის სტრუქტურა და მოცულობა.** სადისერტაციო ნაშრომი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ნაშრომის ზოგადი დახასიათება, გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა, ექსპერიმენტული ნაწილი, ახალი ალკოჰოლიანი სასმელების მოსალოდნელი ეკონომიკური ეფექტები, დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა, დანართები.

დისერტაცია შედგება 146 გვერდისაგან, რომელიც შეიცავს 17 ცხრილს, 9 სქემას, 4 სურათს, 9 გრაფიკს, 4 დიაგრამას. 2 ქრომატოგრამას, გამოყენებული ლიტერატურის 144 დასახელებას.

### **ექსპერიმენტული ნაწილი**

**კვლევის ობიექტებად** გამოყენებული იყო: შარდონეს, მერლოს, მალბეკის, რქაწითელის ყურძნების ტკბილები; შარდონესა და მერლო-მალბეკის სატირაჟე ღვინოები; იმავე ჯიშებისა და კახური მწვანესაგან ბოთლური მეთოდით დამზადებული ცქრიალა ღვინოები; შარდონეს ყურძნის წიპწის სპირტიანი ნაყენები; შარდონესაგან დამზადებული კლასიკური და შარდონეს ყურძნის წიპწის კომპონენტებით გამდიდრებული შემაგრებული ღვინოები, მათ შორის, ღვინო „კავკასიონი“; შარდონესა და რქაწითელისაგან კახური ტექნოლოგიით დამზადებული ქვევრის ღვინოები.

### **ექსპერიმენტისთვის გამოყენებული ანალიზის მეთოდები**

ექსპერიმენტისთვის ფიზიკური სიდიდეები და ძირითადი ქიმიური კომპონენტები ისაზღვრებოდა მოქმედი საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტაციის [O.I.V. 2010] შესაბამისად. ორგანული მჟავების შემცველობა - MA-AS313-04 - ისაზღვრებოდა მაღალმგრძობიარე სითხურ ქრომატოგრაფზე (HPLC). ქრომატოგრაფი - “Varian”-ის ფირმა, სითხური ქრომატოგრაფი 500-MS-ით; ლიმონმჟავის შემცველობა - ენზიმატური მეთოდით, სპექტროფოტომეტრზე 340 ნმ სიგრძის ტალღაზე; მძიმე მეტალების და ტოქსიკური ელემენტების შემცველობა - ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრული მეთოდით SOP17-ICP/OES-01; ფენოლური ნაერთები განისაზღვრა ფოლინ-ჩოკალტეუს მეთოდით სპექტრო-ფოტომეტრულად 750 ნმ ტალღის სიგრძეზე; ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების შემცველობა - “knauer” - ის ფირმის მაღალეფექტურ სითხურ ქრომატოგრაფზე.

ბოთლში ცქრიალა ღვინოების წნევა იზომებოდა აფრომეტრული მეთოდით: FM-CO 10 და FM-CO 20; მიკრობიოლოგიური ანალიზები საფუარებისა და მიკრობების

ცხოველქმედებებზე ცქრიალა ღვინოში ჩატარდა პრეპარატის შეღებვით და პირდაპირი მიკროსკოპირებით (ნეტრუსოვა ა., 2005).

ანალიზები მაღალეფექტურ სითხურ-ქრომატოგრაფზე, სპექტროფოტომეტრსა და ატომურ-აბსორბციულ სპექტრომეტრზე ჩატარდა შპს „ღვინის ლაბორატორიასა“ და აგრარული უნივერსიტეტის საგამოცდო ლაბორატორია “TestLab“-ში; შედეგების საიმედოობისთვის ანალიზები ტარდებოდა რამდენიმეჯერადი განმეორებით.

## **ნაფარეულის შარდონესა და მერლო-მალბეკის ყურძნიდან ბოთლური მეთოდით ცქრიალა ღვინოების დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება**

ექსპერიმენტი ტარდებოდა იმ მიზნით, რომ დადგენილიყო ნაფარეულში მოყვანილი შარდონესა და მერლო-მალბეკის პოტენციური შესაძლებლობა. შესაბამისი სიმწიფის ფაზაში მოკრეფილი შარდონეს ყურძნისაგან თეთრი ცქრიალა ღვინის წარმოებისათვის დამზადდა სატირაჟე ღვინოები. ამისათვის, დაჭყლეტილი, კლერტგაცლილი დურდო გამოიწინხა, ტკბილი სიცივით, სულფიტაციითა და ბენტონიტით დაწდომის შემდეგ გადავიდა სადულარ რეზერვუარებში, სადაც 28 დღეში დადულდა.

ვარდისფერი მერლო-მალბეკის ვარდისფერი სატირაჟე ღვინის მისაღებად კი შესაბამისი ყურძნები სეპაჟირდა (50 %:50 %), მიღებული ტკბილი, თეთრისაგან განსხვავებით, დადულდა დაწმენდის გარეშე. ალკოჰოლური დუღილის შემდეგ ღვინომ მიიღო ღია ვარდისფერი.

თეთრ და ვარდისფერ ღვინოებში სატირაჟე ლიქიორის შეტანის შემდეგ ნაზავში შაქრის შემცველობა გახდა 5 % . შამპანიზაციისათვის სატირაჟე ნაზავი ჩამოისხა 0,75 ლ-იან წნევაგამძლე მინის ბოთლებში, რომლებიც დალაგდა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში შტაბელუებად. კონტროლდებოდა ღვინოში შაქრის დაშლისა და ბოთლში წნევის წარმოქმნის პროცესების დინამიკა. შაქრის კონცენტრაცია თანდათანობით შემცირდა. 22-ე დღეს წნევამ ბოთლში მიაღწია 5 ატმ. მნიშვნელობას. სპირტის შემცველობამ მოიმატა 1,2 მოც.%-ით, ხოლო ნარჩენი შაქარი საცდელ ნიმუშებში არ აღემატებოდა 3გ/ლ-ს.

შარდონეს თეთრი და მერლო-მალბეკის ვარდისფერი ცქრიალა ღვინოები 24-24 თვით (2 წლით) ბოთლში დავარგდა, რის შემდეგ დაიწყო რემუაჟი. პირველად ნალექი ბოთლის კედლებიდან გადატანილ იქნა საცობზე, ამისათვის ბოთლები ყელით თავქვე მოთავსდა

პიუპიტრებში. ეს ოპერაცია გაგრძელდა 2,5 თვემდე. ბოთლის ყელში მოგროვდა სუსპენზიის ნაწილაკების მკვრივი ნალექი.

შემდეგი ოპერაციით - დეგორჟაჟით - ღვინოს მოსცილდა მკვრივი ლექი, რის შემდეგ ჩატარდა დოზაჟი წინასწარ დამზადებული საექსპედიციო ლიქიორით (75 კგ/100ლ) ბრუტოს მარკის ცქრიალა ღვინოების მისაღებად. ჩატარდა მიღებული ღვინოების ანალიზი ანალიზებისათვის, საცდელ ნიმუშებთან ერთად, საკონტროლოდ აღებული იყო მწვანესაგან ბოთლური მეთოდით დამზადებული ცქრიალა ღვინო (ბრუტი).

**ცხრილი 1. ბოთლური მეთოდით დამზადებული საცდელი და საკონტროლო ცქრიალა ღვინოების ქიმიური და მიკრობიოლოგიური ანალიზის შედეგები**

№	პარამეტრის დასახელება	პარამეტრის მნიშვნელობა		
		კახური მწვანე	შარდონე	მერლო-მალბეკი
1	ეთილის სპირტის მოცულობითი წილი %	13,0	13,2	12.9
2	შაქრების მასური კონცენტრაცია, გ/ლ	5,0	5,0	6,0
3	ტიტრული მჟავების მასური კონცენტრაცია ღვინის მჟავაზე გადაანგარიშებით გ/ლ	6	5,7	6.1
4	აქროლადი მჟავების მასური კონცენტრაცია ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით გ/ლ	0.5	0,50	0.6
5	საერთო გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია გ/ლ	70	70	60
6	თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია გ/ლ	15	5	10
7	დაყვანილი ექსტრაქტის მასური კონცენტრაცია გ/ლ	16.5	17,5	17.5
8	რკინის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	0.6	0,90	0.7
9	სპილენძის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	0.3	0,40	0.2
10	ტყვიის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	<0,1	<0,1	<0,1
11	დარიშხანის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	<0,1	<0,1	<0,1
12	კადმიუმის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	<0,01	<0,01	<0,01
13	ვერცხლისწყლის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა	არ აღმოჩნდა
14	საერთო მოცულობითი სპირტმემცველობა %	13.2	13.35	13.16
15	ცეზიუმი -137 ბკ/ლ	<7.05	<7.04	<7.04
16	სტროციუმი -90 ბკ/ლ	<6.4	<6.3	<6.3
17	მიკრობიოლოგიურად	სუფთა	სუფთა	სუფთა

შარდონესა და მერლო-მალბეკისაგან ბოთლური მეთოდით დამზადებული თეთრი და ვარდისფერი ცქრიალა ღვინოები (ბრუტი) ხასიათდება საკონტროლო ცქრიალა ღვინოსთან ქიმიური პარამეტრების მსგავსებით. ისინი დაბალანსებულია ალკოჰოლის, შაქრების, ტიტრული და აქროლადი მჟავიანობის შემცველობის მიხედვით; ნორმაშია მძიმე მეტალებისა და ტოქსიკური ელემენტების რაოდენობა, ასევე, რადიოაქტიური იზოტოპების აქტიურობა; ნორმაშია, აგრეთვე, დაყვანილი ექსტრაქტის (17,5 გ/ლ) შემცველობა, ღვინოებს არ გააჩნია მიკრობიოლოგიური პრობლემა.

დამზადებული ცქრიალა ღვინოები შესწავლილ იქნა ორგანოლექტიკურად და შედარებული ევროპის ქვეყნებში შარდონესაგან წარმოებულ ცქრიალა ღვინოებთან. ორგანოლექტიკური შეფასებისას ბოთლის გახსნის მომენტში დაფიქსირდა ქაფის სითხესთან ერთად ამოფრქვევა ბოთლის ყელიდან, ბუმტების გამოყოფა მიმდინარეობდა თამაშით, ხანგრძლივად.

**ცხრილი2 დამზადებული ცქრიალა ღვინოების ორგანოლექტიკური მაჩვენებლები (8 ბალი)**

№	პარამეტრის დასახელება	შეფასება	
		შარდონესაგან დამზადებული ცქრიალა ღვინო	მერლო-მალბეკისაგან დამზადებული ცქრიალა ღვინო
1	შეფასება ბალებში	7,5	7,0
1	ფერი	ღია ოქროსფერი	საშუალო ტონის ვარდისფერი
2	გემო	შუმხუნა, სასიამოვნო მჟავიანობით	შუმხუნა, სასიამოვნო დაბალანსებული მჟავიანობით
3	არომატი	ციტრუსის, ტროპიკული ხილის და შარდონეს ყურძნის	წითელი კენკრის, ალუბლის ტროპიკული ხილის და მწიფე ყურძნის არომატები
4	განსაკუთრებული მახასიათებელი ნიშნები	ჭიქაში დასხმისას ძლიერ ქაფდება, მცირე დროის შემდეგ ჭიქის ძირიდან ჯერ ჩქარი ტემპით, შემდეგ კი ხანგრძლივად მოედინება ნახშირორჟანგის წვრილი ბუმტულები, გრძელდება ცქრიალი	ჭიქაში დასხმისას საკმაოდ ძლიერ ქაფდება, სასიამოვნო ვარდისფერი შეფერილობის გამო, ჭიქაში დასხმული ღვინო ვიზუალურად ძალიან მიმზიდველია და იგი ორმაგად აღვიძებს დაგმოვნების სურვილს



ნაფარეულის შარდონესა და მერლო-მალბეკის ცქრიალა ღვინოების მაღალი ხარისხი, სასიამოვნო ფერი და გამორჩეული გემო, განაპირობებს ძალიან მოკლე დროში მოპოვებულ პოპულარობას უცხოელ და, განსაკუთრებით, ქართველ მომხმარებელში.

თუმცა, ნედლეულის მცირე რაოდენობის გამო, მერლო-მალბეკის პროდუქტის წარმოებას ამჯერად ფართო მასშტაბი არ მისცემია; რეკომენდაცია კი მიეცა მის დანერგვას „შუხმან ვაინს ჯორჯიაში“. ამისათვის კომპანიამ დაიწყო სანედლეულო ბაზის გაზრდა და აღნიშნული ჯიშების არსებული ვენახების გაფართოვება.

უცხოური ცქრიალა ღვინოების ორგანოლეპტიკასთან შარდონეს შედარებისას შესამჩნევია, რომ “შუხმან ვაინს ჯორჯიას“ ღვინო მსგავსია ევროპის ზოგიერთი, მეღვინეობის კლასიკურ ქვეყანაში წარმოებული პოპულარული ცქრიალა ღვინოს, როგორც ქიმიური შედგენილობით, ასევე, ვიზუალურად. იგი ორგანოლეპტიკური არომატით უფრო უახლოვდება საფრანგეთის, Moët&Chandon-ის ღვინოს. ორივე ხასიათდება ციტრუსისა, მწვანე ვაშლისა და ატმის ტონებით. თუმცა, ქართული პროდუქტი ტროპიკული ხილის ნაზი არომატით ემსგავსება გერმანიაში წარმოებულ ცქრიალა ღვინოებს, რომლებშიც, აღნიშნულის გარდა, შეიგრძნობა აგრეთვე სუნელების, მწიფე ხილისა და თაფლის სასიამოვნო მოტკბო არომატები.

## **შარდონეს წიპწის ფენოლური პოტენციალის გამოკვლევა**

შერჩეულ იქნა წიპწა შარდონეს ყურძნის სიმწიფის სხვადასხვა პერიოდში (წიპწა 1 - სრული სიმწიფის ფაზაში - და წიპწა 2 - ადრეული სიმწიფის ფაზაში); გამოწნეხილი ჭაჭიდან წიპწა გამოიყო და გაშრა ჰაერზე - მშრალ და მზის სხივების პირდაპირი მოქმედებისაგან დაცულ ადგილზე.

გამშრალი წიპწებისგან დამზადდა სპირტიანი ნაყენები: 60 გ სპირტი - 1 ლ რექტიფიცირებული (96 მოც.%) სპირტი. ფენოლური ნაერთებისა და ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მაქსიმალური ექსტრაგირებისათვის შეირჩა ოპტიმალური პირობები: დაყოვნების დრო, ტემპერატურა და სპირტშემცველობა: 5 კვირა, 20 °C, 96 მოც. %. პერიოდულად ტარდებოდა ნაყენის ანალიზი ფენოლური ნაერთების შემცველობაზე და ფერის ინტენსივობაზე

ნიმუშებში „წიპწა1“ ფერი შეიცვალა ღია ყვითლიდან მუქ ქარვისფერამდე, ხოლო ფენოლური ნაერთების ჯამური შემცველობა: 276 -დან 1765 მგ/ლ-მდე (5 კვირა)

„წიპწა 2“-ის ნაყენების შემთხვევაშიც ფერის ინტენსივობა შეიცვალა უფერულიდან ღია ქარვისფერამდე. ხოლო ფენოლური ნაერთების რაოდენობა 123 -დან 964 მგ/ლ-მდე (5 კვირა). ორივე შემთხვევაში მომატებულია ფერის ინტენსივობაც და ფენოლური ნაერთების

ჯამური რაოდენობაც, მაგრამ წიპწა 1-ის (სრული სიმწიფის ფაზაში აღებული წიპწის) მონაცემები 5კვირის ბოლოს თითქმის 2-ჯერ აღემატება წიპწა-2-ის ნაყენების შესაბამის მონაცემებს (1765 – 964 მგ/ლ)

ცხრილი 3-დან ჩანს, რომ ექსტრაქტში ბიოლოგიურად აქტიური კვერცეტინის, მირიცეტინის, ტრანს- და ცის-რეზვერატროლის რაოდენობრივი შემცველობა, ჯამური ფენოლური ნაერთების მსგავსად, დამოკიდებულია წიპწის სიმწიფის ხარისხზე: აღნიშნული ნაერთები სპირტის მიერ უფრო მეტი რაოდენობით ექსტრაგირდება წიპწა N1-დან (სიმწიფის სრული ფაზა), ვიდრე წიპწა N2 -დან(სიმწიფის ადრეული ფაზა).

**ცხრილი N 3 ზოგიერთი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთის შემცველობა შარდონეს წიპწის სპირტიან ნაყენებში**

საკვლევი ნივთიერება	ნიმუშის დასახელება	
	წიპწა 1	წიპწა 2
კვერცეტინი, მგ/ლ	0,00	0,00
მირიცეტინი, მგ/ლ	0,07	0,02
ტრანს-რეზვერატროლი, მგ/ლ	0,09	0,05
ცის-რეზვერატროლი, მგ/ლ	0,02	0,00

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ შარდონეს წიპწა შეიცავს კვერცეტინს, თუმცა, არცერთ ზემოთ განხილულ შემთხვევაში ნაფარეულის შარდონეს წიპწისგან შერჩეულ პირობებში ექსტრაგირებულ ნაყენში არ აღმოჩნდა კვერცეტინი. ჩვენი აზრით, ექსტრაგირების ეს მეთოდი (ან ეს პირობები) არ წარმოადგენს სრულყოფილ მეთოდს წიპწიდან კვერცეტინის გამოსაწვლილად.

დადგინდა, რომ სიმწიფის სრული ფაზის ყურძნის წიპწის სპირტიანი ნაყენი უკეთესი ხარისხისაა ფენოლური და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობის თვალსაზრისით; ასე რომ, შარდონეს ყურძნის წიპწის ტექნოლოგიურად გამოყენებამდე და მისგან ნაყენის მიღებამდე ცნობილი უნდა იყოს ყურძნის სიმწიფის სტადია.

**შარდონეს ყურძნის წიპწის ნაყენების გამოყენებით ალკოჰოლიანი სასმელების დამზადების ტექნოლოგიის შემუშავება**

სადესერტო სასმელებს მოეთხოვება სპეციფიკური სასიამოვნო გემო და ბუკეტი. რასაც ესაჭიროება სასმელის შემადგენელ კომპონენტთა გარკვეული რაოდენობრივი

თანაფარდობა. ზოგიერთი სასმელი მოითხოვს ექსტრაქტის, ტანინისა და სხვა ნივთიერებათა დიდ შემცველობას, რომელთა რაოდენობრივი შეხამება იწვევს სასმელის გამდიდრებას ბუკეტით და ამით სასმელის სპეციფიკური გემოსა და ბუკეტის ჩამოყალიბებას. ზოგიერთი სასმელი კი ზემოთ დასახელებული კომპონენტების შემცველობას, შედარებით, მცირე რაოდენობით მოითხოვს.

სასმელების სამკურნალო დანიშნულებით გამოყენებას განაპირობებს მასში არსებული ანტიოქსიდანტური ნივთიერებების შემცველობა. ყურძნის წიპწაშიედლება გამოყენებულ იქნას ნაყენების დასამზადებლად და სხვადასხვა ტექნოლოგიით ალკოჰოლიანი თუ უალკოჰოლო სასმელების შესაქმნელად.

ჩვენი შემდეგი კვლევის მიზანს შეადგენდა ნაფარეულის შარდონეს წიპწისაგან ისეთი სასმელების დამზადების შესაძლებლობის შესწავლა, რომლებიც მდიდარი იქნებოდა ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ნივთიერებებით.

საკონტროლო ვარიანტი. შარდონესაგან არსებული ტექნოლოგიით დამზადდა შემაგრებული ღვინო, რისთვისაც შარდონეს ტექნიკურად მწიფე ყურძნის (შაქრიანობა - 22,8 % ტიტრული მჟავიანობა - 5,8 გ/ლ) კლერტგაცლილი-დაჭყლეტილი დურდო გამოიწინა და ტკბილს, დაწდომის შემდეგ მიცეკულტურული საფუარი **IOC B3000-Saccharomyces Cerevisiae killer**, დოზით 15გ/ჰლ. ტკბილმა დაიწყო დუღილი.

როცა მადულარი ტკბილის სპირტშემცველობამ 2,9 მოც. %-ს მიაღწია, რეზერვუარიდან ექსპერიმენტისათვის მოხსნილი 10 ლ მადულარი ტკბილი დაისპირტა სპირტ-რექტიფიკატით (96 მოც.%) იმ ანგარიშით, რომ ეთილის სპირტი და შაქარი მიღებულ კუპაჟში ყოფილიყო 16-16% შემცველობით. ჩატარებულმა პროცესმა შეაჩერა ყურძნის ტკბილის დუღილი.

ჩატარდა დაწდომის შემდეგ დეკანტაციით მოხსნილი მზა პროდუქტის ფიზიკურ-ქიმიური ანალიზი და შეფასდა ორგანოლექტიკურად. მიღებული შემაგრებული ღვინო გამოყენებულ იქნა საკონტროლო ნიმუშად ექსპერიმენტის შემდგომ ეტაპზე დამზადებული შემაგრებული ღვინოების თვისებებთან შესადარებლად. შემდეგი ამოცანა იყო შარდონესაგან ისეთი შემაგრებული ღვინოების დამზადება, რომლებშიც წიპწა, ან მისი ნაყენი, ან ორივე ერთად იქნებოდა გამოყენებული.

ვარიანტი I. იმავე წესით გადამუშავებული შარდონეს მადულარი ტკბილიდან, რომლის შაქარშემცველობა შეადგენდა 19,2 %-ს, ხოლო წარმოშობილი სპირტის შემცველობა - 2,6 მოც. %-ს, ალებულ იქნა 10 ლ ტკბილი; დაისპირტა 16 მოც % სპირტშემცველობამდე შარდონესავე ყურძნის გამშრალი წიპწისაგან მიღებული სპირტიანი


ნაყენითიმ ანგარიშით, რომ საბოლოოდ მიღებული შემაგრებული ღვინის კონდიცია ყოფილიყო 16 მოც.% ალკოჰოლი და 16% შაქარი.

ვარიანტი II. ტკბილთან კუპაჟში წიპწის ნაყენთან ერთად შარდონეს ტკბილის ალკოჰოლური დუდილის დაწყებამდე დამატებულ იქნა იგივე წარმომავლობის წიპწა (მშრალი სახით), რომლისგანაც დამზადებული იქნა წიპწის სპირტიანი ნაყენი. ამისათვის 10 ლ ტკბილში დუდილის დაწყების წინ, საფუართან ერთად დაემატა ამავე ჯიშის ყურძნის მშრალი წიპწა, 250 გ/დლ რაოდენობით, რათა მშრალ წიპწას მონაწილეობა მიეღო დუდილის პროცესში. დაახლოებით, 18-19 %-იანი შაქარშემცველობისა და 2,5 მოც.% ალკოჰოლის შემცველი მადუღარი ტკბილი დაისპირტა შარდონეს წიპწის სპირტიანი ნაყენით, რომელიც დამზადებული იყო მშრალ წიპწაზე ერთი თვის განმავლობაში სპირტ-რექტიფიკატის დაყოვნების შედეგად (60გ წიპწა - 1 ლ სპირტი) დასპირტვა მოხდა ისევე 16/16-ზეანგარიშით.

ვარიანტი III. იმავე წესით გადამუშავებული შარდონეს ყურძნის კლერტგაცილილი **დურდო** წნეხში შესვლამდე **20წუთის განმავლობაში ცხელდება 70-80°C-ზე** სპეციალურ თბომცვლელში. დურდო შეგრილების შემდეგ გამოიწნიხა და მიღებული ტკბილი გადაიტუმბა სადუღარ რეზერვუარში, სადაც შეტანილ იქნა საფუარი. 10 საექსპერიმენტო ტკბილში საფუართან ერთად შეტანილ იქნა მშრალი წიპწაც. დაახლოებით, 18-19 % -იანი შაქრიანობის (≈2,5 მოც.% ალკოჰოლის შემცველობის) მადუღარი ტკბილი დაისპირტა შარდონეს ყურძნის მშრალ წიპწაზე ერთი თვით ადრე დამზადებული ნაყენით.

ვარიანტი IV. შარდონეს ყურძნის შერჩეული, დაუზიანებელი მტევნები მოთავსდა ხის სადუღარ კოდში, დაემატა მშრალი წიპწა 250გ/დლ (ჩაყრილი სადუღარი მასის მოცულობის მიხედვით) და წინასწარ დამზადებული და გააქტიურებული საფუარი. კოდი დაიხურა ჰერმეტიულად ისე, რომ სისტემას ჰქონდა ერთი აირგამყვანი მილი ნახშირორჟანგის გასასვლელად. დუდილის დაწყების შემდეგ, როდესაც შაქრიანობა, დაახლოებით, 19,5 %-მდე დავიდა, მადუღარი მასა მსუბუქად გამოიწნიხა. მიღებული მადუღარი ტკბილი დაისპირტა შარდონეს ყურძნის გამშრალი წიპწის ნაყენით ისე, რომ საბოლოოდ ალკ/შაქრ. შემცველობა 16/16 ყოფილიყო;

ამრიგად, ნაფარეულის შარდონეს ყურძნიდან დამზადდა 5 ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული შემაგრებული ღვინო, ექსპერიმენტების შედეგები შეჯამებულად წარმოდგენილია ცხრილის სახით, რომელშიც ნაჩვენებია, რომელი ტექნოლოგიური ოპერაცია განხორციელდა ამა თუ იმ ვარიანტის შესაბამისი ღვინის დასამზადებლად.



სქემა 1. შემაგრებული ღვინის დამზადება III ვარიანტის მიხედვით („კავკასიონი“)

ცხრილი N 4 შარდონესაგან დამზადებული შემაგრებული ღვინოები

შემაგრებული ღვინის დასახელება	გაჭყლეტილი, კლერიტგაცილილი დურდო, გამოწნეხილი	გაუჭყლეთავი, მთელი მტევნები, გამოწნეხილი	დურდოს ცხლად დამამუშავება	მშრალი წიპწა დუღილში	რექტიფიცირებული სპირტი შესამაგრებლად	წიპწის სპირტიანი ნაყენი შესამაგრებლად
საკონტროლო	+	-	-	-	+	-
I ვარიანტი	+	-	-	-	-	+
II ვარიანტი	+	-	-	+	-	+
III ვარიანტი	+	-	+	+	-	+
IV ვარიანტი	-	+	-	+	-	+

ჩატარდა დამზადებული შემაგრებული ღვინოების ფიზ-ქიმიური ანალიზი, რომლის შედეგებიცხრილებშია მოტანილი.

ცხრილები შეიძლება წარმოვადგინოთ ასეთი სახით.

ცხრილი N 5 შარდონეს შემაგრებული ღვინოების ქიმიური ანალიზის შედეგები

მახასიათებელი სიდიდეები	ექსპერიმენტის ვარიანტის დასახელება				
	საკონტროლო ვარიანტი	I ვარიანტი	II ვარიანტი	III ვარიანტი	IV ვარიანტი
ალკოჰოლი, მოც. %	16,3	16,1	16,0	15,9	15,7
შაქრის მასური კონცენტრაცია, %	16,5	16,2	16,1	16,0	16,5
ტიტრული მჟავიანობა, გ/ლ	4,5	4,4	4,5	4,9	4,5
აქროლადი მჟავიანობა, გ/ლ	0,24	0,22	0,23	0,20	0,33
pH	3,40	3,42	3,38	3,18	3,20
SO <sub>2</sub> საერთო, მგ/ლ	74	80	78	30	73
SO <sub>2</sub> თავისუფალი, მგ/ლ	12	9	10	5	8
ექსტრაქტი, გ/ლ	32,39	33,71	34,5	38,2	30,16
სპილენძი, მგ/ლ	0,12	0,11	0,11	0,15	0,15
რკინა, მგ/ლ	0,40	0,50	0,45	0,42	0,40
ტყვია, მგ/ლ	0,021	0,021	0,021	0,022	0,021
თუთია, მგ/ლ	0,15	0,15	0,15	0,16	0,15
კადმიუმი, მგ/ლ	<0,01	<0,01	<0,01	<0,01	<0,01
დარიშხანი, მგ/ლ	<0,1	<0,1	<0,1	<0,1	<0,1

ცხრილიდან ჩანს, რომ: 1. როგორც რექტიფიცირებული სპირტით (96% მოც.ალკ.), ისე წიპწის სპირტიანი ნაყენით (80-82 მოც.%, ალკ) შარდონესაგან შესაძლებელია დამზადდეს შემაგრებული ღვინოები სპირტისა და შაქრის სასურველი პროცენტული შემცველობით ≈16/16;

2. დამზადებულ ღვინოებში ტიტრული მჟავიანობა თითქმის თანაბარია: - 4,5-4,4 -4,5, 4,9-4,5 გ/ლ. ყურძნის საწყისი ტიტრული მჟავიანობა იყო 5,8 გ/ლ; შემაგრებულ ღვინოში ტკბილთან შედარებით, შემცირებულია საერთო მჟავიანობა, დაახლოებით 1 გ/ლ-ით. დასპირტვა მოხდა იმ ეტაპზე, როცა ტკბილში აქტიური დუღილი ახლად იყო დაწყებული. შეწყდა რა დუღილი, შეწყდა დუღილის დროს მიმდინარე ყოველგვარი

ქიმიური პროცესიც. ამიტომ ტიტრული მჟავიანობის შემცირება დაკავშირებული უნდა იყოს არა ორგანული მჟავების გარდაქმნასთან რაიმე ქიმიური პროცესით, არამედ ტიტრული მჟავიანობის შემცირების მიზეზად უნდა ჩაითვალოს სითხის ნაწილობრივი განზავება დასპირტვისას სპირტ-რექტიფიკატით /ან სპირტიანი ნაყენით., რომელთაც ეს ქიმიური კომპონენტი, თითქმის, ნულის ტოლი აქვს. კერძოდ, ნაყენების ტიტრული მჟავიანობა არის 0,2-0,3 გ/ლ ; თუმცა გასათვალისწინებელია ღვინისმჟავა მარილების გამოლექვა დასპირტვისა და გაციების პროცესისას. 3. ყველა პროდუქტში დაბალია აქროლადი მჟავიანობაც. (0,20-დან 0,33 გ/ლმდე). ალკოჰოლური დუდილის დროს დასპირტვამ არ მისცა ძმარმჟავა ბაქტერიებს გააქტიურების საშუალება. შედარებით მაღალია აქროლადი მჟავების რაოდენობა მთელი მტევნების გადამუშავებით დამზადებულ პროდუქტში (0,33 გ/ლ); ამ დროს ალკოჰოლური დუდილი დაიწყო გვიან, ნელა მიდიოდა პროცესი და, სავარაუდოდ, ბაქტერიების ცხოველქმედებისთვის შედარებით ხელსაყრელი გარემო იქმნებოდა. მიუხედავად ამისა, არც აქ წასულა შორს პროცესი დასპირტვისა და დუდილის შეჩერების გამო.

ყველაზე დაბალი აქროლადობა ახასიათებს III ვარიანტის შემაგრებულ ღვინოს, სადაც ყველა პროცესს წინ უსწრებდა კლერტგაცლილი, დაჭყლეტილი დურდოს გაცხელება (ფაქტობრივად, პასტერიზაცია), რომელმაც ბაქტერიოლოგიური პროცესები დათრგუნა, მათ შორის, ძმარმჟავა ბაქტერიების ცხოველქმედებაც. 4. სხვადასხვა ვარიანტით დამზადებული შემაგრებული ღვინოების მშრალი ექსტრაქტის შემცველობა, ზოგადად, მაღალია (30 გ/ლ-ზე მეტი), მაგრამ ყველაზე მაღალ მნიშვნელობას გაცხელებული დურდოს შემთხვევაში აღწევს(38 გ/ლ),რაც უნდა აიხსნას მაღალი ტემპერატურის (70-80°C) გავლენით ძნელადხსნადი ნივთიერებების ადვილად გადასვლაში ყურძნის მაგარი ნაწილებიდან (ჩენჩო, წიპწა) ტკბილში. 5. ჩატარებული ექსპერიმენტით მიღებულ შემაგრებულ ღვინოებს შორის ყველაზე დაბალი ექსტრაქტით ხასიათდება ყურძნის მთელი მტევნებით დადუღებული ღვინო 30,16გ/ლ (IV ვარიანტი). ამ ექსპერიმენტის შემთხვევაში ყურძნის მტევნის მექანიკური ნაწილები არ ზიანდება, რის გამოც ყურძნის ტკბილი მთრიმლავი ნივთიერებებით არ მდიდრდება და ღვინოც გაცილებით ნაზი დგება. 6. ნაფარეულის ტერიტორიაზე მოკრეფილი შარდონესაგან დამზადებული შემაგრებული ღვინოები მძიმე მეტალებისა და ტოქსიკურ ელემენტების შემცველობა დასაშვებ ნორმებშია.

ჩატარდა საცდელი და საკონტროლო ღვინოების სპექტროსკოპიული კვლევა ორგანული მჟავების შემცველობაზე მაღალეფექტური სითხური ქრომატოგრაფიით, რომლის შედეგები მოტანილია ცხრილში

**ცხრილი N 6    საცდელ და საკონტროლო ღვინოებში ორგანული მჟავების  
რაოდენობრივი შემცველობა**

მახასიათებელი სიდიდეები	ექსპერიმენტის ვარიანტის დასახელება				
	საკონტროლო ვარიანტი	I ვარიანტი	II ვარიანტი	III ვარიანტი	IV ვარიანტი
ლიმონმჟავა, გ/ლ	0,20	0,18	0,18	0,17	0,16
ვაშლმჟავა, გ/ლ	1.35	1,34	1,33	1.47	1,36
რძემჟავა, გ/ლ	0,65	0,69	0,68	0,72	0,67
ღვინის მჟავა, გ/ლ	2,73	2,73	2,74	2.68	2,83
ქარვის მჟავა, გ/ლ	0,01	0,01	0,01	0,01	0,01

ცხრილიდან ჩანს, რომ საკვლევად აღებული მჟავებიდან, ქარვის მჟავის კონცენტრაცია ყველა ვარიანტით დამზადებულ შემაგრებულ ღვინოებში სტაბილურია - 0,01გ/ლ. ჩანს, ქარვის მჟავამ მცირეხნიანი ალკოჰოლური დუღილის დროს მცირე რაოდენობით (0,01გ/ლ), მაგრამ მაინც მოასწრო წარმოქმნა.

თითქმის ერთნაირია ყველა ღვინოში სხვა მჟავების შემცველობა

ორგანულ მჟავათა საერთო რაოდენობის შემცირების მიზეზი კი( ღვინოში ტკბილთან შედარებით შემცირებულია), ძირითადად, უნდა იყოს მათი ან მათი მარილების გამოლექვა, ნაწილობრივ კი დაჟანგვა კრებსის ციკლის მიხედვით

დამზადებულ შემაგრებულ ღვინოებში ფენოლური ნაერთების შემცველობის კვლევის შედეგად (ცხრილი 7) ასეთი შედეგები დაფიქსირდა, რომსაცდელ და საკონტროლო შემაგრებულ ღვინოებში ჯამური ფენოლური ნაერთების, ასევე, ცის- და ტრანს-რეზვერატროლების და მირიცეტინის შემცველობა იზრდება წიპწიდან სხვადასხვა ფორმით ექსტრაგირებული ნივთიერებების შესაბამისად; კერძოდ, ჯამური ფენოლებისა და რეზვერატროლების ყველაზე მაღალი 1435 მგ/ლ შემცველობა გააჩნია თერმულად დამუშავებული დურდოდან მიღებულ პროდუქტს (ვარიანტი III).




ცხრილი N7 შემაგრებულ საცდელ და საკონტროლო სასმელებში ფენოლური ნაერთების რაოდენობა

მახასიათებელი სიდიდეები	ვარიანტი ექსპერიმენტში				
	საკონტროლო ვარიანტი	I ვარიანტი	II ვარიანტი	III ვარიანტი	IV ვარიანტი
ჯამური ფენოლები, მგ/ლ	338	620	840	1485	622
კვერცეტინი, მგ/ლ	0,00	0,00	0,00	0,19	0,00
მირიცეტინი, მგ/ლ	0,05	0,09	0,11	0,11	0,10
ტრანს-რეზვერატროლი, მგ/ლ	0,05	0,14	0,18	0,33	0,08
ცის-რეზვერატროლი, მგ/ლ	0,10	0,12	0,13	0,16	0,10

ამ ვარიანტში ჯამური ფენოლური ნაერთების რაოდენობა 76 %-ით მეტია დანარჩენი ვარიანტებიდან ჯამური ფენოლების ყველაზე მაღალი შემცველობის მქონე, მეორე ვარიანტის (მშრალ წიპწა დუღილში და დამატებული წიპწის ნაყენი) ფენოლური ნაერთების რაოდენობაზეც კი.

აღსანიშნავია, რომ შემაგრებული ღვინის როგორც საცდელ, ისე საკონტროლო ვარიანტში კვერცეტინის შემცველობა ნულის ტოლია, მე-3 ვარიანტის გარდა.



დიაგრამა N 1. ჯამური ფენოლური ნაერთების შემცველობა საკვლევ ვარიანტებში

საყურადღებოა, რომ ამ ვარიანტში კვერცეტინი, 0,19 მგ/ლ რაოდენობით, ჩნდება. ეს ნიმუში მიღებულია შარდონეს ყურძნის დურდოს ცხლად (70-80 °) გადამუშავებით. კვერცეტინის მატებას უნდა განაპირობებდეს მაღალ ტემპერატურაზე (70-80°C) დურდოს დაყოვნება 20 წთ-ით. ჩვენი აზრით, ეს ტექნოლოგიური პროცესი ეხმარება ყურძნის ტკბილს წიპწიდან აღნიშნული ნივთიერების გამოწვლილვაში, რადგან კვერცეტინი საერთოდ არ ჩანს დანარჩენი 4 მეთოდით დამზადებული შემაგრებული ღვინოების, ასევე,

შარდონეს წიპწის ნაყენების შემადგენლობაში; ან, შესაძლოა, კვერცხის ექსტრაქტში გადასვლა ხდება დურდოში არსებული ყურძნის კანიდან და წიპწიდან.

III ვარიანტით მიღებული შემაგრებული ღვინო სხვა ხერხით მიღებული ღვინოებისაგან განსხვავდება გემოთი, სირბილით და ხავერდოვნებით.

**ცხრილი N 8 - შემაგრებული ღვინოების ორგანოლექტიკური დახასიათება**

# რიგზე	ღვინისდა სახელება	შეფასებისელებენტები					შეფასება
		გამჭვირ-ვალობა	ფერი	არომატი	გემო	ჰარმონი ულბა	
1	ვარიანტი საკონტროლო-	გამჭოლი სხივიანობა	ღია ჩალისფერი	კენკრის, ვაშლისა ატმის და	სუფთა, ხალისიანი, ცოცხალი	ჰარმონი ული	6,5
2	ვარიანტი I (+წიპწის ნაყენი)	გამჭვირ ვალე	ჩალისფერი	შარდონეს ყურძნის ჯიშობრივი, ტონები	სასიამოვნო მოტკბო, დაბალანსებული მჟავიანობით	ჰარმონი ული	7,1
3	ვარიანტი II (+წიპწა დუღილში; +წიპწის ნაყენი)	გამჭვირ ვალე	მუქი ჩალისფერი	შარდონეს ყურძნის ჯიშობრივი, ტონები	შარდონეს ყურძნისათვის დამახასიათებელი მომჟავო-მოტკბო	ჰარმონი ული	7,3
4	ვარიანტი III (დურდოს გაცხელება; +წიპწა დუღილში; +ნაყენი)	კრიალა, გამჭოლი სხივიანობით	მუქი ქარვისფერი	ყურძნისა და მწიფე ხილის მოტკბო ტონები	ხავერდოვანი, რბილი, ხანგრძლივი დაბოლოებით	ჰარმონი ული	7,7
5	ვარიანტი IV (მთელი, მტევნები; +წიპწა დუღილში; + ნაყენი)	კრიალა, გამჭოლი სხივიანობით	ოქროსფერი	შარდონეს ყურძნის ჯიშობრივი, ნაზი ტონები	მწიფე ყურძნის მოტკბო ტონები, დაბალანსებული მჟავიანობით	ჰარმონი ული	7,2

შარდონესაგან დამზადებული შემაგრებული სასმელების ორგანოლექტიკური შეფასების ცხრილიდან ჩანს, რომ სხვადასხვა ტექნოლოგიური ღონისძიება სხვადასხვა „კვალს ტოვებს“ პროდუქტის ფერზე, არომატსა და გემოზე.

საკონტროლო ნიმუშში არ არის წიპწიდან ექსტრაგირებული ნივთიერებები, ამიტომაც ღია ჩალისფერია (სასიამოვნო) და ღია ფერის ხილის არომატებით მდიდარი.

საცდელ ნიმუშებში წიპწის ექსტრაქტის მატებასთან ერთად, ფერი უფრო ინტენსიური ხდება: საკონტროლო, I და II ვარიანტის ღვინოებში, სადაც შეტანილია მხოლოდ წიპწა ან

მისი ნაყენი, ფერი იცვლება ღია ჩალისფერიდან მუქი ჩაისფერამდე, ხოლო იქ, სადაც ყურძნის დურდო ცხლად დამუშავდა - III ვარიანტი - მუქი ქარვისფერი დაფიქსირდა, ხოლო IV ვარიანტში - მთელი მტევნების დუღილი წიპწასთან ერთად და წიპწის ნაყენის შეტანა - ოქროსფერი.

შარდონე, როგორც არომატული ჯიშის ყურძნიდან წარმოებული შემაგრებული ღვინო, თითქმის ყველა ვარიანტში ინარჩუნებს ყურძნის ჯიშურ არომატს.

წარმოდგენილი ღვინოებიდან ყველაზე მაღალი შეფასება - 7,7 ბალი 8 ბალიანი სისტემიდან - მიიღო III ვარიანტმა.



### სურათი N 3 სხვა და სხვა ვარიანტით დამზადებული შემაგრებული ღვინოები

შესწავლილი ვარიანტებიდან შეირჩა ყველაზე საუკეთესო ვარიანტი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ახალი ალკოჰოლიანი სასმელი „კავკასიონი“.

**„კავკასიონის“ დამზადების ტექნოლოგიური პროცესები:**

- I. ტექნიკურად მწიფე შარდონეს ევროპულად გადამუშავებული ყურძნის ნარჩენი ჭაჭისგან წიპწის გამოცალკეება, გაშრობა, დაფასოება და შენახვა
- II. შარდონეს ყურძნის რთველის სეზონამდე 1თვით ადრე, შარდონეს წინა წლის მშრალი წიპწისაგან ნაყენის დამზადება;
- III. შარდონეს ტექნიკურად მწიფე ყურძნის გადამუშავება - კლერტის მოცილება;
- IV. **დურდოს თერმული დამუშავება:** 20 წუთით ცხელება 70-80°C-ზე სპეციალურ თბომცვლელში;
- V. ცხელი დურდოს გაციება და გამოწნეხა;
- VI. I და II ფრაქციების შეერთება და გოგირდოვანი ანჰიდრიდით სიცივეში (მაცივარში) დაწდომა;

- VII. დაწმენდილი ტკბილის დეკანტირება სადულარ ჭურჭელში და საფუართან ერთად მშრალი წიპწის შეტანა 25გ/ლ რაოდენობით;
- VIII. შარდონეს ტკბილის დუღილი წიპწასთან ერთად  $\approx 4-5\%$  შაქრის დაშლამდე;
- IX. ყურძნის შაქრის ნაწილობრივი დაშლით მიღებული მადულარი ტკბილის დასპირტვა და დუღილის შეჩერება წიპწის ნაყენით, ;
- X. სიცივეში ( $-5^{\circ}\text{C}$ ) დაყოვნება და დაწმენდა;
- XI. ღვინის დეკანტირება;
- XII. ღვინის ფილტრაცია და ჩამოსხმა.

**ცხრილი N 9 შემავრებული ღვინო „კავკასიონის“ ქიმიური ანალიზის შედეგები**

№	პარამეტრის დასახელება	პარამეტრის მნიშვნელობა
1	ეთილის სპირტის მოცულობითი წილი, %	15,9
2	შაქრების მასური კონცენტრაცია, %	16,0
3	ტიტრული მჟავების მასური კონცენტრაცია ღვინის მჟავაზე გადაანგარიშებით გ/ლ	5.0
4	აქროლადი მჟავების მასური კონცენტრაცია ძმარმჟავაზე გადაანგარიშებით გ/ლ	0.7
5	საერთო გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	50
6	თავისუფალი გოგირდოვანი მჟავის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	5
7	რკინის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	0.42
8	სპილენძის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	0.15
9	ტყვიის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	0,022
10	დარიზხანის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	<0,1
11	კადმიუმის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	<0,01
12	ვერცხლისწყლის მასური კონცენტრაცია მგ/ლ	არ აღმოჩნდა
13	ჯამური ექსტრაქტის მასის კონცენტრაცია გ/ლ	38,2
14	ლიმონმჟავას მასური კონცენტრაცია გ/ლ	0.09
17	ვაშლმჟავას მასური კონცენტრაცია გ/ლ	1,67
18	რძემჟავას მასური კონცენტრაცია გ/ლ	0,72
19	ღვინის მჟავას მასური კონცენტრაცია გ/ლ	1,68
20	ქარვის მჟავას მასური კონცენტრაცია გ/ლ	0,03
21	ჯამური ფენოლები, მგ/ლ	1445
22	კვერცეტინი, მგ/ლ	0,19
23	მირიცეტინი, მგ/ლ	0,11
24	ტრანს-რეზვერატროლი, მგ/ლ	0,33
25	ცის-რეზვერატროლი, მგ/ლ	0,16

როგორც ცხრილიდან ჩანს შემაგრებული ღვინო „კავკასიონის“ ქიმიური ანალიზის შედეგები შეესაბამება კანონით გათვალისწინებულ შემაგრებული ღვინის მონაცემებს, ამასთან, ჯამური ექსტრაქტის მასური კონცენტრაცია არის მაღალი (38,2გ/ლ), რაც გამოწვეულია ღვინის დამზადების ერთერთი ტექნოლოგიური პროცესით - დურდოს გაცხელება 70-80°C-ზე.

### **შარდონესაგან კახური ღვინის დამზადება**

ნაფარეულის მიკროზონაში მოყვანილი შარდონეს ტექნიკურად მწიფე ყურძენი (შაქრიანობა - 23,5 ტიტრული მჟავიანობა - 7,5) „მუხმან ვაინს ჯორჯიას“ საწარმოში გადამუშავდა და მოთავსდა ქვევრებში კახური წესით ღვინის საწარმოებლად. დაემატა საფუარის წმინდა კულტურა და დაიწყო დუღილი, რომელიც წარიმართა არაუმეტეს 26°C - ტემპერატურაზე დადასრულდა 8 დღეში. ქვევრები ოქტომბრის ბოლოს დაილუქა.

საკონტროლოდ აღებული იქნა იმავე ნაფარეულის მევენახეობის მიკროზონაში მოყვანილი რქაწითელის კახური ტექნოლოგიით გადამუშავებული ყურძენი.

მარტში, ქვევრის გახსნის შემდეგ, ქვევრიდან ტუმბოს საშუალებით ამოვიდა დაწმენდილი ღვინოები. ამ დროისთვის რქაწითელი-კახური იყო კრიალა, კარგი სხივიანობით, ხოლო შარდონესგან დამზადებული კახური ღვინო კი - ოდნავ შებურული და არ ხასიათდებოდა სხივიანობით.

ჩვენი შემდგომი კვლევის მიზანს შეადგენდა, შარდონესა და რქაწითელის ღვინოების ქიმიური პარამეტრების შესწავლა. ღვინის ძირითადი ორგანული მჟავების შემცველობის დასადგენად ექსპერიმენტი ჩატარდა მაღალი ეფექტურობის სითხურ ქრომატოგრაფზე (HPLC), რომელზედაც თითოეული ნიმუშისთვის 17,5 წუთის განმავლობაში ხდებოდა დეტექტირება ულტრაიისფერი სხივებით 215 ნმ ტალღის სიგრძეზე,

საექსპერიმენტო ღვინოების ქრომატოგრამებზე გამოტანილ იქნა პიკები, რომელთა ფართობი ორგანულ მჟავების განსაზღვრულ რაოდენობებს შეესაბამება. ასეთი



განსაკუთრებით შესამჩნევია ქვევრის შარდონეში რძემჟავას გაცილებით დიდი შემცველობა (2, 22 გ/ლ), ვიდრე ქვევრის რქაწითელში (1,91 გ/ლ)

უნდა აღინიშნოს, რომ კახური ტექნოლოგიით დამზადებული შარდონეს ქვევრის ღვინო სიცივითა და ღვინის ქვით დამუშავების, ასევე, ქაღალდის სტერილურ ფილტრში გაფილტვრისა და ბოთლებში ჩამოსხმის შემდეგ საკმაოდ დაიხვეწა, მიიღო ღია ჩალისფერი, ვიზუალურად გამჭვირვალე და სხივიანი გახდა, მაგრამ სუსტად შეინარჩუნა არომატი: თამბაქოს, ჩაის, ატმის; ფერად - ქარვისფერი, ღია კვერცხისგულის ფერი..

დაიკარგა შარდონესათვის დამახასიათებელი ხილის ტონები, გემოში საკმაოდ დარბილდა და გახდა დუნე, სავარაუდოდ, გემოში ღვინის სირბილეს იწვევს რძემჟავას მაღალი შემცველობა (2.22გ/ლ), (ცხრილი N10). თუმცა, მაღალი ექსტრაქტულობა და მცირე სიმწკლარტე ღვინოს მაინც განსხვავებულ, თავისებურ ორიგინალურ გემოს ანიჭებს.

როგორც ჩანს, ნაფარეულის შარდონეს ყურძნისგან წარმოებული კახური ღვინის ორგანოლეპტიკა ჰარმონიულობაში ვერ მოვიდა ღვინის დაყენების კახურ მეთოდთან (ყურძნის ყველა მაგარ ნაწილზე - კლერტი, ჩენჩო, წიპწა - ტკბილის დადუღება და ღვინის დავარგება), ასევე, ქვევრის მინერალოგიურ შემადგენლობასთან. რაც იმაში გამოიხატა, რომ დუღილისა და დავარგების შემდეგ, ქვევრის შარდონეში ნაკლებადლა დარჩა ხილის არომატები; სამაგიეროდ გაჩნდა თავისებური მომწკლარტო-მომწარო გემო, რაც, ღვინომ, სავარაუდოდ, დუღილისა და დავარგებისას შარდონეს კლერტიდან აიღო, ხოლო ღვინის ტიტრული მჟავიანობის დაცემა, ღვინის დუნე და უხალისო გემო დაკავშირებული უნდა იყოს მასში რძემჟავას მაღალ შემცველობასთან..

ექსპერიმენტიდან გამომდინარე, რადგან კახური წესით დამზადებულმა ნაფარეულის შარდონეს ღვინომ ვერ დააკმაყოფილა ორგანოლეპტიკური კრიტერიუმები, რაც შემდგომ კომპანიაში ჩატარებული დეგუსტაციებითაც დამტკიცდა, ამიტომ მას ამჯერად არ მიეცა რეკომენდაცია ფართო მასშტაბით წარმოების.

## დასკვნები

ჩვენ მიერ პირველად იქნა შესწავლილი კახეთის რეგიონის ნაფარეულის მევენახეობის ბაზაზე კომპანია „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ კუთვნილ ტერიტორიაზე გაშენებული ინტროდუცირებული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშის შარდონეს სამეურნეო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები, მისგან სხვადასხვა ტექნოლოგიის ღვინოების დამზადების მიზნით; ამ მიკროზონის შარდონეს ყურძნისგან **პირველად იქნა დამზადებული ცქრიალა და შემაგრებული ღვინოები;**

ა. შესწავლილ იქნა **ცქრიალა ღვინის** ქიმიური და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები, რომლებიც შედარებულ იქნა ევროპის კლასიკური მეღვინეობის ქვეყნებში შარდონესაგან წარმოებული ცქრიალა ღვინოების მონაცემებს;

- დადგინდა, რომ ნაფარეულის მევენახეობის ბაზაზე შარდონეს ცქრიალა ღვინო, ხარისხოვანი მონაცემების მიხედვით, თამამად იკავებს ადგილს ევროპაში შარდონესაგან წარმოებული ცქრიალა ღვინოების გვერდით;
- შემუშავებული იქნა შარდონეს ყურძნის გამოყენებით ბოთლური მეთოდით ცქრიალა ღვინის დამზადების ტექნოლოგია და ტექნოლოგიური სქემები, რომელთა ბაზაზე შეიქმნა მათი დამზადების ტექნიკური დოკუმენტაცია;

ბ. შესწავლილია **შარდონეს ყურძნის წიპწის** ქიმიური მაჩვენებლები ყურძნის მომწიფების სხვადასხვა - ადრეულ და სრული - მომწიფების ფაზაში

- შესწავლილ იქნა ყურძნის სიმწიფის სხვადასხვა ფაზაში წიპწიდან სპირტული ნაყენების მიღების ტექნოლოგია სხვადასხვა სპირტმემცველობის, დაყოვნების დროისა და ტემპერატურის მიხედვით; ასევე დადგინდა:
- რომ დასამზადებელი შემაგრებული ღვინისთვის წიპწა უკეთესია ადრეულ იქნას ყურძნის ტექნიკურ სიმწიფეში; წიპწა შეგროვილ იქნას მაშინ, როდესაც ყურძნის შაქარმემცველობა ყურძენში მიაღწევს 22.0 %-ს და მეტს;
- დადგინდა წიპწის მიღებისა და შენახვის ტექნოლოგიური რეჟიმები: წიპწა შენახულ უნდა იყოს მშრალ და ბნელ პირობებში; წიპწა ვარგისია, მაქსიმუმ, ერთი წლის;
- დადგინდა წიპწის ნაყენების დამზადების ტექნოლოგია. გასუფთავებული და გამშრალ წიპწას უნდა დაემატოს სპირტი რექტიფიკატი იმ ანგარიშით, რომ მისი სპირტმემცველობა შეადგენდეს არანაკლებ 80 მოც. % და დაყოვნებულ იქნას არანაკლებ ერთი თვისა.
- შარდონეს წიპწის სპირტიანი ნაყენები გამოკვლეულ იქნა ჯამური ფენოლებისა და ანტიოქსიდანტური ნივთიერებების: მირიცეტინის, კვერცეტინის, ტრანს- და ცის-რეზვერატროლის შემცველობაზე;
- დადგინდა რომ **შემაგრებულ ღვინოებში** სპირტის ნაყენის გამოსაყენებლად წიპწა უნდა იქნეს ადრეული ღვინის დამზადების წინა წლის რთველის სეზონზე;
- გამოკვლეულ იქნა შარდონეს ყურძნის გადამუშავების, ტკბილის მიღების, ალკოჰოლური დუდილისა და სპირტიანი ნაყენების მადლდარ ტკბილში შეტანის ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვა ვარიანტი;



- გამოკვლეულ იქნა თითოეული ვარიანტის ქიმიური და ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა რაოდენობრივი შემცველობა;
- შარდონეს წიპწის სპირტული ნაყენების ბაზაზე დამზადებული იქნა შარდონეს შემაგრებული ღვინო „კავკასიონი“ და დადგენილ იქნა მისი დამზადების ტექნოლოგია;
- დადგინდა შემაგრებული ღვინო „კავკასიონის“ დამუშავების სქემები. შედგენილი და დამტკიცებულია მისი დამზადების ტექნოლოგიური რეგლამენტი;
- გამოკვლეული იქნა შარდონეს ყურძნის გამოყენებით ბოთლური მეთოდით დამზადებული ცქრიალა ღვინოსა და სადესერტო ღვინო „კავკასიონის“ **ეკონომიკური ეფექტი**. დადგინდა, რომ 1000 ბოთლი შარდონეს ცქრიალას წარმოება კომპანიას მისცემს 7600 ლარის, ხოლო 1000 ბოთლი „კავკასიონის“ წარმოება - 7210 ლარის მოგებას ;

სადისერტაციო ნაშრომით შესწავლილი მასალების საფუძველზე შედგენილი შარდონესაგან ბოთლური მეთოდით ცქრიალა ღვინოებისა და სადესერტო შემაგრებული ღვინო „კავკასიონის“ დამზადების ტექნოლოგია გადაეცა შპს „შუხმან ვაინ ჯორჯიას“, რომელიც აწარმოებს აღნიშნულ ღვინოებს და რეალიზაციას ახდენს როგორც ადგილობრივ, ისე ევროპის ბაზარზე.

#### დისერტაციის ირგვლივ გამოქვეყნებული შრომების სია:

1. უგრეხელიძე გ.დ., ბურდიაშვილი რ.გ., ვეფხიშვილი ნ.გ., ჯავახიშვილიმ.ლ. ფენოლები და ანტიოქსიდანტური აქტივობა სხვადასხვა ვაზის ჯიშის ყურძნის წიპწაში. Georgian Engineering News No. 4 2015. Page 125-126;
2. **Roland burdiashvili**. Successful Experiments with Chardonnay. Scientific enquiry in the contemporary world: theoretical basics and innovative approach. February 20, 2019. Conference Proceedings. B&M Publishing, 2019, San Francisco, California, USA. (ჩაშვებულია გამოსაქვეყნებლად, წარმოდგენილია ცნობაგამომცემლობისაგან)
3. **Roland Burdiashvili**, DEVELOPMENT OF RATIONAL TECHNOLOGY OF NEW GEORGIAN DESSERT WINE VIII International Conference. Science and Practice: a new level of integration in the modern world. Conference Proceedings. Scope Academic House, 2019, Sheffield, UK. (ჩაშვებულია გამოსაქვეყნებლად, წარმოდგენილია ცნობაგამომცემლობისაგან)

LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University

With the right of manuscripts

Rolandi Burdiashvili

New technological opportunities for Chardonnay grown in Napareuli

To obtain the academic degree of Doctor of Food Technology  
submitted of Dissertation

**A b s t r a c t**

**Telavi  
2019**

The work is accomplished at the Iakob Gogebashvili Telavi State University of  
Agriculture and Department of Chemistry

Scientific heads: Nino Vepkhishvili  
Mzia gagoliSvili

Appraisers (reviewers): **Davit Cichua**  
**Lela Tsiklauri**

Defence of thesis will take place on 20 “-----“ -----hours  
Iakob Gogebashvili State University Faculty of Agrarian Sciences Dissertation  
Board At the meeting: Corps ----- Auditorium -----

